# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 11 სექტემბერი, 2015 წელი.

№170 (7815)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ვებ გვერდი: www.sakresp.ge | ფასი 50 თეთრი.


## გნაცებო, თქვენ თუ გაგიგიათ დღე-ღამეში 23-საათიანი რეკლამა?



ირაკლი სესიაშვილი: „საქართველომ“ „რუსთავი-2“-ის 51-პროცენტიანი წილი თავდაცვის სამინისტროს ფულით იყიდა“ ⑤

## აბრეშუმის გზამ იქნებ ცოტა გაგვიაბრეშუმოს ცხოვრება



- პრემიერის იმედიანი შეხვედრა ჩინელ კოლეგასთან ②
- აჭარასა და დალიანს შორის მემორანდუმი გაფორმდა ③
- ქართულ ღვინოს დააგემოვნებენ



ირმა ინაშვილი:

## ვინაიდან აფრასიძეების მკვლელმა გიორგი ბარამიძემ არ მოისვენა, ვწერ!.. ②



ნოდარ ჭიჭინაძე:

## 78 ათასი ლარი ფუნქციების ფორმალური შესრულებისათვის?! ④

## ელექტრო-ენერგია გაძვირდა, პური - არა!



⑥

## თხილის ერთიანი „მეგრული“ ციკლი



## რას შეუძლია ხელი შეუშალოს საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას? ⑦

ქართული ოპოზიცია ქვეყნის ექს-პრემიერის მისამართით ბრალდებით გამოვიდა

იუზა ჩაკვეტაძე ⑯



## გამოვფხიზლდეთ!

სამებაში შევიკრიბოთ მლოცველები, მოვინანოთ ცოდვები, ნუ ვიმალებით, ავასრულოთ წინაპრების ოცნებები, გავახაროთ სული ჩვენი წმინდანების!..

## ექსპერტმა დაადასტურა, რომ ზურაბ ვაზაგაშვილის თავიდან ამოღებული ტყვიის შეცვლას სთხოვდნენ

ამის შესახებ ე.წ. კორტეჟის სპეცოპერაციის ხელმძღვანელი პირების წინააღმდეგ საქმის პროკურორმა ამირან გულუაშვილმა გუშინ გამართული სხდომის შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, პროცესზე დაიკითხა 4 მოწმე, მათ შორის ორი ექსპერტი, ერთი სოდ-ისა და ერთი კრიმინალური პოლიციის ყოფილი თანამშრომელი. პროკურორის ინფორმაციით, დაკითხულმა ექსპერტმა ლეილა მეშველიანმა განაცხადა, რომ მას იმ ტყვიის შეცვლას სთხოვდნენ, რათა გასროლა სპეცრაზმს დაბრალებოდა, რომელსაც ამაზე პასუხი არ მოეთხოვებოდა. კერძოდ, მისი თქმით, ექსპერტს დასკვნაში უნდა ჩაეწერა, რომ გასროლა ვაზაგაშვილის მისამართით არა ორი მეტრიდან, არამედ უფრო შორი მანძილიდან მოხდა და ეს არ განუხორციელებია პოლიციას, რომელიც მოკლული ვაზაგაშვილის თავიდან იქნა ამოღებული. ამით ყველაფერი სპეცრაზმელებს დაბრალდებოდათ.

კორტეჟის სპეცოპერაციის საქმეზე მომდევნო სხდომა 14 სექტემბერს განახლდება.

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

# ირაკლი ღარიბაშვილი ჩინელ კოლეგას შეხვდა



**„ეს იყო პირველი ოფიციალური შეხვედრა ჩინეთის პრემიერთან. ბოლო 2-3 წლის განმავლობაში ჩვენ განსაკუთრებით გავააქტიურეთ ჩინეთთან ურთიერთობები — ვიცე-პრემიერები, საპარლამენტო და სამთავრობო დელეგაციები იმყოფებოდნენ ჩინეთში ვიზიტით. ასევე განხორციელდა ჩინური დელეგაციების ვიზიტები საქართველოში. ეს არის დადასტურება იმისა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები სრულიად ახალ ეტაპზე გადადის“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე განმარტებით, ჩინელ კოლეგასთან სტრატეგიული პროექტები განიხილა, მათ შორის ისაუბრეს „ახალი აბრეშუმის გზის“ შესახებ.

**„ჩვენ განვიხილეთ სტრატეგიული პროექტები, რომლებიც საინტერესო იქნება ორივე მხარისთვის. ჩვენ სრულად ვუჭერთ მხარს ჩინეთის პრეზიდენტის ინიციატივას „ახალი აბრეშუმის გზის“ შესახებ, ეს არის კონცეფცია — „ერთი სარტყელი — ერთი გზა“. ეს არის ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენის პროექტი. ისტორიულად საქართველო აბრეშუმის გზის შემადგენელი ნაწილი იყო და სწორედ დღეს ჩვენ გააზრებულად ვაცხადებთ, რომ გვსურს, ამ პროექტის მონაწილეები გავხდეთ. მიგვაჩნია, რომ „ახალი აბრეშუმის გზა“ შექმნის ახალ შესაძლებლობებს ჩვენი ქვეყნისთვის, ეს მოიტანს ახალ ინვესტიციებს, ეკონომიკურ განვითარებას, ვაჭრობის გააქტიურებას.**

**კიდევ ერთი საკითხი, რაც განვიხილეთ, შეეხება აზიის ინფრასტრუქტურის განვითარების ინვესტიციის ბანკის მიერ რამდენიმე პროექტის დაფინანსებას. როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყანა ამ ბანკის თანადამფუძნებელია. პირველ ეტაპზე, 100 მილიარდია ბანკის კაპიტალი, მაგრამ საბოლოოდ 500-მილიარდიან ინვესტიციებზეა საუბარი. მექნება ბანკის პრეზიდენტთან შეხვედრა პეკინში და ვფიქრობ, რომ რამდენიმე მსხვილი პროექტის დაფინანსებას შევძლებთ. ამის მზაობა და სურვილი ჩინური მხრიდან უკვე არსებობს“,** — აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

**„ჩვენი მიზანია, საქართველოს სტრატეგიული მდებარეობის მაქსიმალურად გონივრულად გამოყენება. არ გვსურს, საქართველო იყოს დაპირისპირების ადგილი, არამედ საქართველო უნდა იყოს შერიგების, ურთიერთგაგების, მოლაპარაკების და მშვიდობის ადგილი. ეს არის მისია, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ისტორიულად ასრულებდა. ხელისუფლების მიზანია, მაქსიმალური წინსვლა ამ მისიის შესრულებაში და რაც შეიძლება მოკლე ვადებში მივაღწიოთ შედეგს“,** — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

რაც შეეხება უშუალოდ ჩინელ კოლეგასთან შეხვედრას, პრემიერის თქმით, ჩინური კომპანიები დაინტერესებულები არიან, მიიღონ მონაწილეობა ანაკლიის პორტის მშენებლობაში, რაზეც აქცენტი ჩინეთის პრემიერ-მინისტრმაც გააკეთა.

**განცხადება**

## ირმა ინაშვილი: ვინაიდან აფრასიძეების მკვლელმა გიორგი ბარამიძემ არ მოისვენა, ვწერ!..

„პატრიოტთა ალიანსის“ საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ირმა ინაშვილი განცხადებას ავრცელებს:



**„რიგი მიზეზების გამო, არ ვაპირებდი, საჯაროდ შემეფასებინა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ვახტანგ გომელაურის დანიშვნის ფაქტი, მაგრამ ვინაიდან აფრასიძეების მკვლელმა გიორგი ბარამიძემ არ მოისვენა, ვწერ:**

**1. ვახტანგ გომელაური პროფესიონალიცაა და, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, წესიერი ადამიანი. მისი აზროვნება რადიკალურად განსხვავებულია ბარამიძე-მერაბიშვილების აზროვნებისგან. დარწმუნებული ვარ, რომ გომელაური არავის აწამებს, სადისტურად არ დატკბება ნაწამები ადამიანების ვიდეო და ფოტოკადრებით... არააწიოკებს უდანაშაულო ბიზნესმენებს... არ დაქოქავს პოლიტიკური რეპრესიების მანქანას...**

**2. ვახტანგ გომელაური არ დადგამს „ენვერს“, თქვე მართლა, სადისტებო!**

**3. ვახტანგ გომელაურის დავალებით მოდულის თუ სუს-ის ჯურღმულებში არ ჩაამწყვდევენ პოლიტიკურ ოპონენტებს და თვალწინ ცოლ-შვილს არ გაუუპატიურებენ!**

**ეს ჩემთვის საკმარისია, რომ უაღრესად დადებითად შევაფასო ვახტანგ გომელაურის დანიშვნის ფაქტი... ხოლო შენ, გიორგი ბარამიძევ, დიდი ხანია, უნდა იჯდე არა „მატროსოვზე“, კომფორტულ საკანში... ტელევიზორითა და ინტერნეტით... არამედ გლდანის მე-8 დაწესებულების იმ საკაში, სადაც საბრალო ადამიანებს შეათრევდით ხოლმე და ძალით „აქათმებდით“... მაგრამ ძალიან მშვიდად ნუ იქნები, მოვა ეს დრო, აუცილებლად მოვა ეს დრო!**

**წარმატებებს ვუსურვებ ვახტანგ გომელაურს!**

**P. S. დაბოლოს, ყველა მშვიდად იყოს, მე არც გომელაურის დაწინაურებაზე მაქვს აგებული ჩემი ცხოვრება და არც პირადი კეთილდღეობის გამო შემიწუხებია რომელიმე მინისტრი. მეტიც, იმ მინისტრებთან, რომლებიც სახელმწიფო სახსრებით „რუსთავი-2“-ს აფინანსებენ, სალაპარკო დიდი ხანია, აღარ მაქვს. აი, „რუსთავი-2“ დამხობის პირას რომ მიიყვანს ამ ხელისუფლებას, მერე ვილაპარაკოთ დანარჩენ დეტალებზე“,** — წერს ინაშვილი.

# ანალიტიკური საქმიანობის როლი გამოძიების პროცესში

**შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილმა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების წარმომადგენლებთან ერთად, კანადელ და დიდ ბრიტანელ ექსპერტებთან ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გამართა.**

ექსპერტებმა ქართველ კოლეგებს ე.წ. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის სისტემის შესახებ საკუთარი ქვეყნის გამოცდილება გაუზიარეს.

შეხვედრაზე განიხილეს საგამოძიებო პროცესში ანალიტიკური საქმიანობის როლი.

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა არის თანამედროვე საპოლიციო საქმიანობის მოდელი, რომელიც გავრცელებულია მსოფლიოს წამყვან სამართალდამცავ სტრუქტურებში და ხელს უწყობს დანაშაულის შემცირებას, მის პრევენციას და ზრდის გამოძიების ეფექტურობას. შეხვედრაში მონაწილე შს სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების წარმომადგენლები ხელს შეუწყობენ უწყებაში აღნიშნული საპოლიციო საქმიანობის მოდელის დანერგვას. ანალიტიკური საქმიანობის გაძლიერება და რისკების ადრეული შეფასების ეფექტური სისტემის დანერგვა წარმოადგენს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში შს სამინისტროსადმი ევროკომისიის რეკომენდაციას და მოცემული სამუშაო შეხვედრა ხელს შეუწყობს მის ეფექტურ იმპლემეტაციას.

# დევნილებს პრობლემების მოგვარება აღუთქვეს

**აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლები სამეგრელოს რეგიონში მცხოვრებ დევნილებს შეხვდნენ. ორი დღის განმავლობაში აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა, აფხაზეთის მთავრობის წევრები, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის მთავრობისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ჩხოროწყუსა და მარტვილის რაიონებში მცხოვრებ დევნილ მოსახლეობას შეხვდნენ და სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მათი პრობლემები მოისმინეს.**



აფხაზეთის მთავრობის წევრებმა დევნილ მოსახლეობას ის მიმდინარე პროექტები გააცნეს, რომლებსაც აფხაზეთის მთავრობა საქართველოს ცენტრალური მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით ახორციელებს. დევნილთა ძირითადი მოთხოვნები სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, საცხოვრებელი ფართების დაკანონების საკითხს და ინფრასტრუქტურულ პრობლემებს შეეხებოდა.

აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა დევნილებს მის ხელთ არსებული შესაძლებლობების ფარგლებში, პრობლემების მოგვარებას, გარკვეულ საკითხებში კი საქართველოს ცენტრალური მთავრობის შესაბამის სტრუქტურებთან შუამდგომლობას დაჰპირდა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები ჩხოროწყუს რაიონში მდებარე მემორიალთანაც იმყოფებოდნენ და აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების ხსოვნას პატივი მიაგეს.

მარტვილში შეხვედრის დროს კი გადაწყდა, რომ რაიონში მცხოვრები დევნილებისთვის აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტრო უფასო სამედიცინო გამოკვლევებს ჩაატარებს და საჭირო მედიკამენტებს გადასცემს. სამეგრელო ზემო-სვანეთის გუბერნატორის ლევან შონიას განცხადებით, მარტვილში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები აპლიკაციას ადგილზე შეავსებენ და მათ ზუგდიდში ჩასვლა აღარ მოუწევთ.

# პროექტი „პოლიტიკის სკოლა“ დაიწყო

**რუსთავის** USAID-ის **დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, პროექტი „პოლიტიკური პარტიების განვითარების ხელშეწყობა რეგიონებში, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად“ გაიხსნა.**

პროექტის ფარგლებში, საქართველოს 8 რეგიონის თვითმმართველ ქალაქში: რუსთავი, თელავი, ახალციხე, გორი, ქუთაისი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ბათუმი, პარალელურ რეჟიმში იფუნქციონირებს „პოლიტიკის სკოლა“, სადაც მონაწილეობას მიიღებს ბოლო სამი წლის მანძილზე გამართულ საერთო არჩევნებში მონაწილე 15 პოლიტიკური პარტიის (როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური) 200-ზე მეტი რეგიონული წარმომადგენელი და აქტივისტი.

მათივე ინფორმაციით, პროექტი ხორციელდება განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD) მიერ, სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ ფინანსური მხარდაჭერით, რათა ხელი შეუწყოს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების რეგიონალურ წარმომადგენელთა შესაძლებლობების გრძელვადიან განვითარებას ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების, პოლიტიკური კულტურის დახვეწისა და კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს შექმნისათვის.




# თავისუფალი ვაჭრობა ჩინეთთან

საქართველო და ჩინეთი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებებს დაიწყებენ, — გადაწყვეტილება საქართველოს პრემიერ-მინისტრ, ირაკლი ღარიბაშვილის და ჩინეთის პრემიერ-მინისტრ ლი კეციანის შეხვედრაზე მიიღეს. ამ კუთხით საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანა იქნება.

მათივე განმარტებით, მხარეებმა ურთიერთობების სხვა კუთხით გაღრმავების პერსპექტივებიც განიხილეს. ხაზი გაესვა ბოლო პერიოდში საქართველოსა და ჩინეთს შორის თანამშრომლობის გააქტიურებას, რასაც საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ შეუწყო ხელი.

შეხვედრაზე აღინიშნა ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების მნიშვნელობა.

მხარეებმა ისაუბრეს ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენის ინიციატივაზეც. საუბარი შეეხო „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ მნიშვნელობას, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით დაარსდა. აღინიშნა, რომ 15-16 ოქტომბერს თბილისს ჩინეთიდან მაღალი რანგის სტუმრები ეწვევიან. პრემიერ-მინისტრებმა აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის საქმიანობის შესახებაც იმსჯელეს. გამოითქვა იმედი, რომ ბანკის დაფინანსებით არაერთი მსხვილი საინვესტიციო პროექტი განხორციელდება.

შეხვედრაზე ითქვა, რომ იზრდება ჩინური კომპანიების მხრიდან საქართველოთი დაინტერესება.

ჩინეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მჭიდრო ეკონომიკური პარტნიორია. 2014 წელს საქართველო-ჩინეთს შორის სავაჭრო ბრუნვამ 28 პროცენტით მოიმატა.

# ქართულს ღვინოს დააგემოვნებენ

ჩინეთის ქალაქ დალიანში „ქართული ღვინის კომპანია“ ღვინის ექსპორტს იწყებს. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი დალიანის თავისუფალ სავაჭრო ზონასა და კომპანიას შორის გაფორმდა.

ხელმოწერის ცერემონიამდე, დალიანის თავისუფალ სავაჭრო ზონის ხელმძღვანელობას საქართველოს პრემიერ-მინისტრი შეხვდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ მხარეებს შორის თანამშრომლობა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდება.

# აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ და დალიანის მუნიციპალიტეტმა მემორანდუმი გააფორმეს

შეთანხმებას ხელი მოეწერა ქალაქ დალიანში საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში.

დალიანის მუნიციპალიტეტსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს ქართველი და ჩინელი ხალხის დაახლოებას, ურთიერთობების გაღრმავებას ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, ტურიზმის და ქალაქის დაგეგმარების მიმართულებით.

## უცხოური გამოცემიდან

# საქართველო – აბრეშუმის გზის უმოკლესი მარშრუტი ჩინეთისა და ევროპისთვის

**ჩინურ გამოცემა „China Daily“-ში გამოქვეყნდა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის წერილი: „საქართველო: აბრეშუმის გზის უმოკლესი მარშრუტი, რომელიც დააახლოებს ჩინეთსა და ევროპას“, სადაც ირაკლი ღარიბაშვილი ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენის პერსპექტივებზე და საქართველოსა და ჩინეთს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობაზე საუბრობს.**

მთავრობის მეთაური საქართველოს უწოდებს ევროპის აღმოსავლეთით მდებარე ყველაზე ხელსაყრელ სახმელეთო და საზღვაო პუნქტს, რომელიც ევროპისთვის ბუნებრივი კარიბჭეა აზიისკენ. პრემიერი მიიჩნევს, რომ ასოცირებისა და თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების მქონე საქართველო ტრადიციული სავაჭრო კერაა კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში. გთავაზობთ ამ წერილის თარგმანს:

საქართველო, როგორც ევროპის აღმოსავლეთით მდებარე ყველაზე ხელსაყრელი სახმელეთო და საზღვაო პუნქტი, ევროპისათვის ბუნებრივი კარიბჭეა აზიისკენ მიმავალ გზაზე. ევროკავშირთან მჭიდრო კავშირის, მათ შორის, ასოცირებისა და თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების მქონე საქართველო ტრადიციული სავაჭრო კერაა კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონში. რადგანაც ჩინეთის აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი გადის ევრაზიის მთელ კონტინენტზე, საქართველოს მდებარეობა იძლევა მსოფლიოს ორი უმსხვილესი სავაჭრო რეგიონის დაკავშირების შესაძლებლობას. მე ამ კვირის განმავლობაში ჩინეთში ვიქნები, რათა უფრო გავაძლიერო კავშირი ჩინეთსა და ევროპას შორის, რომელიც ბუნებრივად გადის თბილისზე.

საქართველოს მთავრობა ამაყობს ჩინეთთან კავშირების გამყარებით. ბოლო წლების განმავლობაში არსებითად გაიზარდა ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ჩინეთიდან. 2014 წელს ჩინეთი რეიტინგით მესამე უდიდეს წყაროდ იყო აღიარებული საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კუთხით.

ამ კვირაში პეკინში ჩამოვედი, რათა გავაძლიერო უკვე არსებული მეგობრული ურთიერთობები საქართველოსა და ჩინეთს შორის და განვიხილო სამომავლო თანამშრომლობის ახალი გზები. ჩინეთის უმაღლესი პირები ახლახან ეწვივნენ საქართველოს. 15-16 ოქტომბერს, თბილისში, აბრეშუმის გზის პირველ ფორუმზე, საქართველო უმასპინძლებს მაღალი რანგის სამთავრობო პირებს, ეკონომისტებს, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს და ჩინეთის 300-მდე ბიზნესლიდერს. ღონისძიება მიზნად ისახავს, გააძლიეროს თანამშრომლობა და გაზარდოს ინვესტიციები ახალ აბრეშუმის გზაზე და მთელი მსოფლიოს ბიზნესწრეებს აჩვენოს საქართველოს მიერ შემოთავაზებული უნიკალური შესაძლებლობები.



წელს, „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ ყოველწლიურ შეხვედრაზე და ჩინეთის ხელმძღვანელობით მოქმედი „აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის“ პირველ შეხვედრაზე, რომელთაც საქართველომ უმასპინძლა, ხაზი გაესვა საქართველოს, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებლის, სტრატეგიულ მდებარეობას. გასულ თვეში ჩვენ თბილისში ვუმასპინძლეთ მაღალჩინოსნებს 57 ქვეყნიდან, რომლებიც ჩამოვიდნენ „აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის“ მოლაპარაკებების საწყისი რაუნდის ჩასატარებლად და მისი პირველი პრეზიდენტის ჯინ ლინქუნის ასარჩევად.

საქართველო იყო იმ 45 ქვეყანას შორის, ვინც შეუერთდა „აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს“. ჩვენ გვჯერა, რომ ბანკი გაზრდის განვითარებადი ქვეყნების მნიშვნელობას და დიდ როლს ითამაშებს სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან —„მსოფლიო ბანკთან“, „აზიის განვითარების ბანკთან“ და „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან“ თანამშრომლობაში.

საქართველო მხარს უჭერს ჩინეთის ახალ პროექტს - „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი“, რომელიც იძლევა სტრატეგიულად მნიშვნელოვან შესაძლებლობას აზიასა და ევროპას შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირების გასაღრმავებლად. ამ ინიციატივაში ჩინეთთან ჩვენი თანამშრომლობის ფარგლებში, ჩვენ შევქმენით ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის შესაძლებლობებს ჩვენს ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გასაფორმებლად.

ჩვენ, როგორც რეგიონის ლიდერმა ქვეყანამ, კიდევ უფრო გავაღრმავეთ თანამშრომლობა ჩინეთთან, თურქეთთან, ყაზახეთთან, აზერბაიჯანთან, თურქმენეთთან, უზბეკეთსა და ავღანეთთან, სატრანსპორტო დერეფნების ინტეგრირებისა და ახალი მარშრუტების გახსნის მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ მულტიმოდალური ბლოკმატარებლის პროექტს შეეძლება, ტვირთი უსაფრთხო და ეფექტიანი სატრანსპორტო დერეფნის გამოყენებით, რეკორდულ დროში გადაზიდოს ჩინეთიდან დასავლეთ ევროპაში.

სატარიფო პოლიტიკაში შიდა რეფორმებმა, ისევე, როგორც ტექნიკურმა რეგულაციებმა, საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ლიბერალურ პოლიტიკად აქცია. როგორც რეგიონალურ ბიზნესკერას, საქართველოს აქვს შესანიშნავი ინფრასტრუქტურა და თავისუფალი ვაჭრობა ყველა მეზობელთან, დსთ-ის ქვეყნებთან, თურქეთთან და ევროკავშირთან. ჩვენ ასევე გვაქვს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უპრეცედენტო ზრდა; 2014 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზარდა 86,6%-ით და შეადგინა 1.75 მილიარდამდე აშშ დოლარი, რაც ყველაზე დიდი შემოდინება იყო 2007 წლიდან. ამ რეიტინგებს აძლიერებს ძალიან პოზიტიური საერთაშორისო რეიტინგები — საქართველო მე-15 ადგილზეა „მსოფლიო ბანკის“ რეიტინგში იმ ქვეყნებს შორის, სადაც ბიზნესის წარმოება მარტივია, ხოლო „Heritage Foundation“-ის ბოლო კვლევის თანახმად, ეკონომიკის თავისუფლების მიხედვით 22-ე ადგილზეა მსოფლიოში.

დარწმუნებული ვარ, რომ ევრაზიის მდგრადი განვითარება დიდწილად არის დამოკიდებული ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე საკომუნიკაციო არხებისა და ვაჭრობის მასშტაბის გაძლიერებაზე. ევრაზიის კონტინენტზე ევროპისა და ჩინეთის დასაკავშირებლად საჭიროა დერეფანი. საქართველოსა და ჩინეთს, ერთობლივი მუშაობით, შეუძლიათ, ახალი აბრეშუმის გზა აქციონ ეკონომიკური ზრდის, ვაჭრობისა და თანამშრომლობის ნამდვილ ძალად. ჩემი ქვეყანა იმედოვნებს, რომ ჩინეთთან მეგობრობა ხანგრძლივი და პოზიტიური იქნება და დაეხმარება ჩინურ ბიზნესს საქართველოში, ევროპასა და ახალი აბრეშუმის გზის გასწვრივ თავისი მიზნების მიღწევაში“, — ნათქვამია პრემიერის წერილში.



# 78 ათასი ლარი ფუნქციების ფორმალური შესრულებისათვის?!

**„ეროვნული ბანკის საბჭოს 2 წევრი, რომლებიც პროკურატურის ყოფილი კადრები არიან, ფუნქციების ფორმალური შესრულებისთვის წელიწადში ხელფასის სახით 78 ათას ლარს იღებენ“,** — აცხადებს „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ პრეზიდენტი **ნოდარ ჭიჭინაძე.**

როგორც ჭიჭინაძე აღნიშნავს, ეროვნული ბანკის საბჭოში პროკურატურის კადრები 2012 წელს შევიდნენ, მას შემდეგ, რაც საკანონმდებლო ცვლილება მოხდა და შეიცვალა საბჭოს დაკომპლექტების წესი.

**„2012 წლის 30 აპრილს ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ძალაში შევიდა ცვლილება და თუ ცვლილების მიღებამდე ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ფინანსისტი ან/და ეკონომისტი, ეს შეზღუდვა მოიხსნა და საბჭოში შესვლის უფლება მიეცა სხვა დარგის სპეციალისტებსაც, თუმცა არაუმეტეს ორი წევრისა. ცვლილების ძალაში შესვლიდან 2 კვირაში, 2012 წლის 15 მაისს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად პარლამენტმა დაამტკიცა 2 კადრი — ვაჟა ჯანყარაშვილი და ნიკოლოზ გონგლიაშვილი, არც ერთი მათგანი პროფესიით ეკონომისტი არ არის და მათი საქმიანობა უკავშირდება სამართლებრივ სფეროს, კონკრეტულად კი, პროკურატურას. ცალსახაა, რომ კანონის ცვლილება სწორედ იმ მიზნით მოხდა, წინა ხელისუფლებას ეროვნულ ბანკზე კონტროლი გაეძლიერებინა და შეენარჩუნებინა, ვინაიდან საბჭოს წევრები, როგორც მოგეხსენებათ, ირჩევიან 7 წლის ვადით“,** — განმარტავს ჭიჭინაძე.

როგორც „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციიდან“ იტყობინებიან, ეროვნული ბანკის ვებგვერდზე განთავსებული ბიოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ვაჟა ჯანყარაშვილი პროფესიით იურისტია, ხოლო მისი სამუშაო გამოცდილება, 1983 წლიდან 2012 წლამდე, უკავშირდება მხოლოდ პროკურატურას, იგი 3 ათეული წლის განმავლობაში პროკურატურაში იკავებდა სხვადასხვა თანამდებობას და ამის შემდეგ შეცვლილი კანონის საშუალებით აღმოჩნდა ეროვნული ბანკის საბჭოში. ნიკოლოზ გონგლიაშვილს კი ჯანყარაშვილისგან განსხვავებით აქვს საფინანსო სექტორში მუშაობის გამოცდილება, მაგრამ პროფესიით ინჟინერ-ქიმიკოს-ტექნოლოგია, თუმცა ასევე ფლობს ეკონომისტის კვალიფიკაციას ქ.თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტ — „აჭარიდან“. გონგლიაშვილი სხვადასხვა დროს იყო გიორგი ქადაგიძის მოადგილე პროკურატურასა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურში.

**„ეროვნული ბანკის საბჭო კანონით მართვის უმაღლესი ორგანოა. მას ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია, ისეთი, როგორიცაა საერთაშორისო რეზერვების მართვის პრინციპების შემუშავება, ვალუტის კურსის დადგენის წესის განსაზღვრა, ეროვნული ბანკის ბიუჯეტის დამტკიცება, ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშის დამტკიცება, ფინანსური სფეროს ზედამხედველობის ძირითადი პრინციპების დადგენა და ა.შ. ამ ფუნქციების შესასრულებლად საბჭოს თითოეული წევრი, ფაქტობრივად, მინისტრზე მაღალ ხელფასს იღებს, მათი ანაზღაურება თვეში 6500 ლარს შეადგენს. ამდენად, ეროვნული ბანკის საბჭოში არაეკონომისტების და არაფინანსისტების შეყვანა და ამისთვის სპეციალურად კანონის შეცვლა, სხვა არაფერია, თუ არა საბჭოს ფორმალურ ერთეულად ქცევა, რათა ეროვნული ბანკის მენეჯმენტი მორგებული იყოს კონკრეტულ პერსონალიაზე. სამწუხაროა, რომ ამ ცვლილებას არ მოჰყოლია არანაირი პროტესტი ან შენიშვნა არც საერთაშორისო და არც ადგილობრივი ორგანიზაციების მხრიდან. დღეს წელიწადში 546 ათასი ლარის სახელფასო ფონდი იხარჯება იმ ორგანოს არსებობაზე, რომელიც თავის ფუნქციას ფორმალურად ასრულებს და მისი რეალური ფუნქცია ეროვნული ბანკის მენეჯმენტის გადაწყვეტილებების დაკანონებაა, ხმის მიცემის უფლების საშუალებით“,** — აცხადებს აფბას პრეზიდენტი და აქვე აღნიშნავს, რომ ორგანიზაციას ეროვნული ბანკიდან გამოთხოვილი და მიღებული აქვს საბჭოს კრების ოქმები, რომლებითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ეროვნული ბანკის საბჭო მხოლოდ ფორმალურად არსებობს.

◉ აშენდება ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა

# ინვესტორებისთვის სამაგალითო პროექტი

**ეკონომიკის ექსპერტი ლევან კალანდაძე მიიჩნევს, რომ ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პროექტი, რომლის განხორციელებასაც კომპანია „Multiplex“-ი გეგმავს, ძალიან კარგი და მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის.**



**ინფრასტრუქტურული სამუშაოები ძველი ქარხნის ტერიტორიაზე განხორციელდება და ინვესტორები არა მარტო ეკოლოგიაზე, არამედ ბათუმის ვიზუალურ მხარეზეც იზრუნებენ. საწარმოში 200-მდე ადამიანი დასაქმდება და ქვეყნის ბიუჯეტიც მიიღებს სოლიდურ სარგებელს. საწარმოში ინვესტიციების ოდენობა დაახლოებით 150 მილიონი დოლარია, მისი დასრულება დაახლოებით 18 თვეში იგეგმება და ქარხანა წელიწადში 2 მილიონი ტონა პროდუქციის წარმოებას შეძლებს.**

**— ბატონ ლევან, თქვენი განცხადებით ამ პროექტში ბევრი კომპონენტია, რომელიც გარკვეული სარგებლის მომტანია სხვადასხვა მიმართულებით.**

— ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი უკავშირდება: გადამუშავებული ნავთობპროდუქტების ნაწილის საქართველოში გაყიდვას, ნაწილის — ექსპორტზე გასვლას. გადამუშავებული ნავთობის საქართველოში დატოვების დეტალი საინტერესოა ორი მიმართულებით. პირველია ის, რომ ბაზარზე ჩნდება ახალი მოთამაშე, რომელსაც შეუძლია კონკურენტული ფასი შესთავაზოს მომხმარებელს. მეორე კომპონენტი უკავშირდება ექსპორტის ნაწილს. საექსპორტო პოტენციალის ზრდა, ქვეყნისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, დღეს არსებული გამოწვევების ფონზე. მხედველობაში მაქვს ის, რომ თუ ჩვენ მოვახერხეთ, რომ არამხოლოდ ნავთობპროდუქტების იმპორტიორები ვიყოთ, არამედ ნავთობპროდუქტების ექსპორტიორიც, ეს ქვეყნისთვის დამატებითი სავალუტო შემოდინებების წყარო იქნება. ეს ლარისა და დოლარის მასაში, ბუნებრივია, მცირედად, მაგრამ მაინც პოზიტიურ წვლილს შეიტანს. ანუ, თუ ეკოლოგიური რისკები მინიმიზირებულია და გარემოზე ზემოქმედება ასეთი ტიპის პროექტებისა არის მინიმალური, რისი განხორციელების პასუხისმგებლობაც, ერთი მხრივ, სახელმწიფოს აქვს, ეს პროექტი ქვეყნისთვის ძალიან კარგი იქნება. ის ტექნიკური პარამეტრები და მასშტაბი, რომელიც დასახელდა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისთვის, არის საშუალება იმისა, რომ ეს იყოს არა მხოლოდ მსხვილი საინვესტიციო პროექტი, არამედ ბაზარზეც გარკვეული კონიუნქტურა შეიცვალოს.

**— რაც შეეხება ადგილმდებარეობას, რამდენად სწორად არის შერჩეული ის?**

— თავისთავად ასეთი ინფრასტრუქტურის ურბანული დასახლებების მიღმა ყოფნა უმჯობესია, მაგრამ მეორე საკითხია, რომ ასეთი ტიპის პროექტების განხორციელებისას ყოველთვის ხარჯეფექტურობა ითვლება მნიშვნელოვნად. ბუნებრივია, ძველი ტერიტორიის, თუნდაც დღეს საექსპლუატაციოდ არავარგისის, აღდგენარეაბილიტაცია გარკვეული ხარჯების მინიმალიზაციასთანაა დაკავშირებული. გასათვალისწინებელია, რომ ძველი ქარხნის ტერიტორია ლოჯისტიკურად კარგად ორგანიზებულია. პორტთან ახლოსაა და ამავე დროს ის ლოჯისტიკური არხები, რომელიც რკინიგზას უკავშირდება, ძალიან მჭიდროდაა დაკავშირებული ამ ტერიტორიასთან. ბათუმის მიღმა ტერიტორიაზე ამ პროექტის განხორციელება ინვესტორისთვის არარენტაბელური იქნებოდა.

**— ცენტრალური ბიუჯეტის მოგება ამ შემთხვევაში გასაგებია, თუმცა საინტერესოა, რა მოგებას ნახავენ ამ პროექტის განხორციელებით აჭარა, კერძოდ კი ბათუმი და უშუალოდ ადგილობრივი მოსახლეობა?**

— ამ პროექტის პირველი ბენეფეტი იქნება დასაქმება, იმიტომ რომ 200 ადამიანი ეს ნიშნავს დაახლოებით 200 ოჯახს და ეს შეიძლება იყოს დაახლოებით 700-800 ადამიანი. მაგრამ ამავდროულად არის მეორე საკითხიც, ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების გარდა, მსგავსი ტიპის საინვესტიციო პროექტები ადგილებზე იხდიან ადგილობრივ გადასახადს, ამ შემთხვევაში ეს იქნება ქონების გადასახადი 1%-ის ოდენობით.

**— თუკი აღნიშნული პროექტი განხორციელდება, იქნება თუ არა ის სხვა ინვესტორებისთვის და ბიზნესმენებისთვის მაგალითის მიმცემი და წამახალისებელი, რომ მსგავსი მსხვილი თუ არა, ანალოგიური სახის სხვა პროექტები განახორციელონ?..**

— ნებისმიერი ასეთი ტიპის საშუალოზე ცოტა მსხვილი პროექტი სამაგალითოა ინვესტორებისთვის. ამავდროულად ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის პროექტების რეალიზაციაში, როგორ წამახალისებელ და მასტიმულირებელ როლს შეასრულებს თავად ხელისუფლება. რამდენად დროულად შეუწყობს ხელს ამ პროექტების რეალიზაციას, რამდენად მოუხსნის ბიუროკრატიულ ბარიერებს, ანუ ნებისმიერი ასეთ ტიპის პროექტები სამაგალითოა შემდგომი დარგებისთვის. ეს შეიძლება ენერგეტიკაში, ან სხვა ლოჯისტიკური მიმართულების ბიზნესპროექტის წახალისების გარკვეული სტიმული გახდეს.

**ნიკა ასლანიძე**

◉ კაკალ გულში

# წუწუნოჯანი თეზისები

● საქართველოში ხალხი კი არ ქირაობს პოლიტიკოსებს, ფულიანი პოლიტიკოსები ქირაობენ ხალხს. ვინ რა ფასად იშოვის, ამაში მთელი მუღამი და მოხერხება, ზოგი 20-ლარიანია, ზოგი 50-ლარიანი, ზოგიც ახერხებს მთლად უფასოდ დაითრიოს კარგი მკვდარი სული, მოკლედ ასეთია ეს ფულოსოფია.

● ახლა შემთხვევით გავიგე, რომ ვიღაცები მედიის თავისუფლებისთვის იბრძვიან.

დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის, მაგრამ ორი შეკითხვა გამიჩნდა: ვინ არის ის ხალხი, რომლებიც გვიცავენ და იქნებ ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვისაც ეკითხათ რამე.

● „ჩემი ცოლის დაქალების“ შემქმნელებისგან!

ახალი სერიალი: „ტელევიზიებიდან გაყრილი ცოლების შოუ“!!!!!

იხილეთ „რუსთავი-2-ზე“!

მუდამ!

● მამულიჩა თუ გამოუშვით, სხვებმა რა დააშავეს? სამართლიანობის აღდგენა კი არა, ჯერ ნაცმოსამართლეები გაყარეთ სასამართლოდან (ისევ კუბლაშვილის მგონია).

● მე გერმანელი ვარ და გორის ცენტრში სტალინის ბანერი არ მომწონსო. — სტუმართმოყვარეობა დაგვიწუნა ტურისტმა.

ხომ ალალი იყო ეგოროვ-ქანთარიაც დაეხვედრებიათ.

● ეს დავით ზურაბიშვილი რომ სულ ტელევიზორშია, ვითომ დეფიმ რა დააშავა? — ბერეტს მაინც ეცით პატივი!

● „ჩვენმა ისტორიულმა მტერმა რუსეთმა, პირველ რიგში, ქართულად განათლების მიღება აგვიკრძალა, შემდეგ — ლოცვა და საბოლოოდ დაგვაკარგვინა ცოდნისა და განვითარების ამბიცია“ — „დემოკრატიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ ხელმძღვანელი მუხრან ბურჭულაძე.

ახლა, შიგ არა აქვს ამას?!

მამაშენი, ნემოი, რა ენაზე (პირველ რიგში) განათლდა და განვითარდა, ბი-ჭო? რესპუბლიკელია ესა?

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

◉ წინსვლა

# საპარტნიორო ფონდის ფინანსური მაჩვენებლები გაუმჯობესდა

**საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, ფინანსური მონაცემი შთამბეჭდავია. „ვფიქრობ, ფონდის გაუმჯობესებული მონაცემი საშუალებას მოგვცემს დავაფინანსოთ ყველა ჩვენთვის პრიორიტეტული პროექტი,“ — განაცხადა მან.**

**2014 წლის ფინანსური ანგარიშის მიხედვით, საპარტნიორო ფონდის და მისი შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებულმა ფინანსურმა შემოსავლებმა 2014 წლის განმავლობაში ერთ მილიარდ ლარს გადააჭარბა. საპარტნიორო ფონდის წმინდა მოგება გაიზარდა 69%-ით 2013 წელთან შედარებით და 124.7 მლნ ლარი შეადგინა. 17%-ით გაზრდილია საოპერაციო მოგებაც და იგი 243 მლნ ლარს შეადგენს. (2013 წელს ეს ციფრი 207 მლნ ლარი იყო.) ფონდის ჯამური აქტივები შეადგენს 5.4 მილიარდ ლარს, რაც წინა წლის ჯამურ აქტივებს 8%-ით აღემატება. საინტერესოა, რომ ასევე გაზრდილია ფონდის კაპიტალიც და იგი 2.6 მლრდ ლარია, რაც 9%-ით მეტია 2013 წლის მონაცემებთან შედარებით.**

**2014 წლის ფინანსური ანგარიში შეამოწმა საერთაშორისო აუდიტორთა დიდი ოთხეულის წევრმა აუდიტორულმა კომპანიამ KPMG-მ, რომლის დასკვნითაც ფონდის ფინანსური ანგარიში სრულიად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. 2014 წლის ანგარიშში შესულია საპარტნიორო ფონდის და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსური მონაცემები.**

# გნაცებო, თქვენ თუ გაგიგიათ დღე-ღამეში 23-საათიანი რეკლამა?



**თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი ტელეკომპანია „საქართველოს" დაფინანსების წყაროებზე საუბრობს, რომელიც წინა ხელისუფლების პირობებში პატრიოტული სულის ამაღლების მოტივით, სამხედრო თემატიკაზე გადაცემებს ამზადებდა. დეპუტატის ცნობით, აღნიშნულმა ტელევიზიამ თავდაცვის სამინისტროსგან 26 მილიონ 800 ათასი ლარი მიიღო და მან „რუსთავი-2"-ის ტექნიკა იყიდა; მოგვიანებით, 2012 წლის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე კი, „საქართველომ" „რუსთავი-2"-ის 51 პროცენტიანი წილი შეიძინა.**

**ქართულ მედიაში მიმდინარე პროცესებზე, for.ge ირაკლი სესიაშვილს ესაუბრა:**

**— რა ინფორმაცია გაქვთ წინა ხელისუფლების პირობებში თავდაცვის სამინისტროს მიერ ტელეკომპანია „საქართველოს" დაფინანსების თაობაზე?**

— ტელეკომპანია „საქართველოს" საქმიანობის თაობაზე თინა ხიდაშელის დროებითმა საპარლამენტო საგამოძიებო კომისიამ იმსჯელა; დასკვნა კონტროლის პალატასაც აქვს მომზადებული. წინა ხელისუფლების დროს თავდაცვის სამინისტროში აუდიტის სამსახური არც ერთხელ არ შესულა, ჩვენი ხელისუფლების დროს კი ლაშა თორდიას უწყებამ როგორც ძველი, ისე ახალი პერიოდი შეისწავლა.

საუბარია „ტვ 33"-თან დადებულ ხელშეკრულებებზე, რომელიც მოგვიანებით „საქართველო" გახდა. თავდაცვის სამინისტრო „ტვ 33"-ს ფულს ისე უხდიდა, რომ ის არ არსებობდა და ეთერში არ გადიოდა. ფაქტობრივად, თავდაცვის უწყება ამ ტელევიზიას სარეკლამო დროში იმ თანხას უხდიდა, რომელსაც რეიტინგული ტელევიზიები იღებდნენ. ამასთანავე, მოგვიანებით, თავდაცვის უწყება ამ ტელევიზიას რეკლამაში იმაზე მეტ ფულს უხდიდა, ვიდრე რომელიმე სხვა რეიტინგულ ტელეკომპანიას. საბოლოო ჯამში, ამ ტელეკომპანიამ თავდაცვის სამინისტროსგან 26 მილიონ 800 ათასი ლარი მიიღო.

**— როგორ განკარგა „საქართველომ" აღნიშნული თანხა?**

— რამდენიმე ტიპის დარღვევა იკვეთება — 23-საათიანი რეკლამა გაგიგიათ? ამ სქემაში კერძო ინტერესი ჩანს. წარმოგიდგენიათ, რომ საქართველოს პარლამენტმა არარეიტინგული ტელევიზიისგან 23-საათიანი საეთერო დრო იყიდოს? — საუბარი მილიონებზეა. მოგვიანებით, „საქართველომ" „რუსთავი-2"-სგან ტექნიკა შეიძინა. პირდაპირ ვერ ვიტყვით, რომ თავდაცვის სამინისტრო „რუსთავი-2"-ს აფინანსებდა, მაგრამ კომბინაციას ხომ ხვდებით? — 2012 წლის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე „საქართველო" ამ ქონებით „რუსთავი-2"-ში შევიდა, 51-პროცენტიანი წილი მიიღო და შემდეგ მაუწყებლობა გააუქმა.

**— ანუ, თქვენი სქემით რომ ვიმსჯელოთ, ფაქტია ფულის გათეთრება?**

— როგორც სახელმწიფო მოხელეს პრეტენზია ვერც „რუსთავი-2"-თან და ვერც „საქართველოსთან" ვერ მექნება, რადგან, თუკი თავდაცვის სამინისტრომ 26 მილიონ 800 ათასი ლარი არამიზნობრივად დახარჯა, პასუხი თავდაცვის უწყებას უნდა მოვთხოვო.

**— რატომ არ ითხოვთ პასუხს?**

— რას ჰქვია, არ ვითხოვთ? — ამ საქმეზე აუდიტის დასკვნა არსებობს, რომელიც გამოძიებისთვის პროკურატურაშია გადაგზავნილი. როგორც მოქალაქემ, შემიძლია ვთქვა, რომ „საქართველოს" მიერ „რუსთავის-2"-ის 51-პროცენტიანი წილი ნაყიდია თავდაცვის სამინისტროსგან არამიზნობრივად მიღებული ფულით. მაგრამ ეს რომ კორუფციული სქემაა, ამას დამტკიცება სჭირდება.

**— ამ სქემის უკან ვინ დგას — რომელი მინისტრი?**

— ყველაფერი მინისტრების ბრძანებულებების საფუძველზე კეთდებოდა — კეზერაშვილისგან დაწყებული, ახალაიათი დამთავრებული. ამ სქემაში პოლიტიკური ნიშნები რომ არის, ალბათ, ხვდებით. მე არც პროკურორი ვარ და არც მოსამართლე, მაგრამ მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებზე ვსაუბრობ და თუკი ვიტყუები, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, მიჩივლოს. ხელშეკრულებები კაბინეტში მიდევს და სახეზე ავაფარებ. „რუსთავი-2"-საც შეუძლია მიჩივლოს, თუკი ვიტყუები.

**— აუდიტის სამსახურმა პროკურატურაში მასალები როდის გააგზავნა?**

— რამდენიმე თვის წინათ აუდიტის სამსახურმა დიდი სამუშაო შეასრულა — რაზეც ვსაუბრობ, საიდუმლო არაფერია, თუმცა, ეს ინფორმაცია წაკითხული მაქვს როგორც საიდუმლო მასალებში, ასევე არასაიდუმლოში. ამ დოკუმენტებს ვერ გიჩვენებთ, მაგრამ მოთხოვნა გაგზავნილი მაქვს, რომ მისი განსაიდუმლოება მოხდეს.

**— ვინაიდან, ქიბარ ხალვაშმა „რუსთავი-2"-ის დაბრუნებისთვის ბრძოლა დაიწყო, ეს ნიშნავს თუ არა, რომ ხელისუფლებას ამ ტელევიზიის გაკონტროლების მიზანი აქვს?**

— ქიბარ ხალვაშს არაერთხელ განუცხადებია, რომ მას „რუსთავი-2"-ის წილის დაბრუნება სურს. ხალვაში მიშას დროს რომ ვერ იბრძოლებდა, ეს გასაგებია. ამ ადამიანს დიდი ხანია ვიცნობ, მას საზღვარგარეთ პრობლემები ჰქონდა, იმას მორჩა და თვითონ დაგეგმა, რა და როგორ გაეკეთებინა. თუკი ხალვაშს ვინმე იცნობთ, გეცოდინებათ, რომ ის მიშას დიქტატურას არ დანებდა და თავისუფლებისთვის იბრძოლა. ეს ადამიანი გაანადგურეს და ისე დააგდეს.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ხალვაში „რუსთავი-2"-ის კანონიერი მესაკუთრეა? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ მოდავე მხარე ხალვაშსაც ჰყავს...**

— უფლება არ მაქვს, ჩემი ზოგადი წარმოდგენა ღიად დავაფიქსირო. საქმე სასამართლოშია და ამიტომ ხმას ვერ ამოვიღებ. სასამართლო სხდომები ღიაა და ჩვენი მიღწევაა, რომ თქვენ მისი გაშუქება შეგიძლიათ. შეიძლება, სხვა მოდავეები გამოჩნდნენ და საქმეში თავად უნდა გაერკვნენ. ხელისუფლება მედიის საქმიანობაში რომ არ ერევა, ეს ცხადზე ცხადია.

**— თუმცა, სხვა სურათი იხატება — თოქშოუები იხურება. რატომ?**

— ხელისუფლება მედიის კონტროლს არ ცდილობს. თუკი ვინმეს ასეთი შთაბეჭდილება უჩნდება, ამას რამდენიმე საფუძველი აქვს. მათ შორის, პოლიტიკური მოტივაცია. თუკი მედიის კონტროლზე საუბარს „თავისუფალი დემოკრატები" და ნაციონალები დაიწყებენ, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ისინი არჩევნებში განცდილი მარცხის გამართლებას შეეცდებიან.

ცალკეულ ჟურნალისტებს თავისი მოტივაცია აქვთ. პატივს ისეთ ჟურნალისტებს ვცემ, რომლებიც თუნდაც ჭიანჭველისგან სპილოს ქმნიან, მაგრამ მხარს იმ ჟურნალისტებს ვერ დავუჭერ, რომელთა უკან პოლიტიკური ინტერესები დგას.

**— პოლიტიკური ინტერესი რომელი ჟურნალისტის უკან დგას? ინგა გრიგოლია პირდაპირ ამბობს, რომ მისი გადაცემის დახურვის უკან ბიძინა ივანიშვილი დგას...**

— ინგა გრიგოლიას პოლიტიკური ინტერესები აქვს თუ არა, ეს ადრე თუ გვიან გამოჩნდება. „რუსთავი-2"-ის ეთერში ისეთი ჟურნალისტები ვნახე, რომელთა უკან პოლიტიკური ინტერესები კი არა, პოლიტიკური პერსპექტივები ჩანს. ლუბა ელიაშვილს ძალიან დიდ პატივს ვცემ, როგორც პროფესიონალს და ობიექტურ ადამიანს, მაგრამ მისმა მეუღლემ, რომელიც ოპოზიციაშია, განაცხადა, რომ თურმე, საქართველოში მედიის თავისუფლება 2007 წელს უფრო მაღალი იყო, ვიდრე დღეს არის. ამის თქმა სირცხვილია, რადგან 2007 წელს მედია თავისუფლების კუთხით 120-ე ადგილზე იყო, დღეს კი, 69-ე ადგილზე ვართ. გრიგოლიას, როგორც ჟურნალისტს, დიდ პატივს ვცემ და ის გამორჩეულია, მაგრამ მისი ბოლო გადაცემები მთრგუნავდა. გადაცემებში გაწევ-გამოწევა, ჩხუბი და აყალმაყალი იყო. შეიძლება, მის გადაცემას რეიტინგი ჰქონდა, მაგრამ მე მას ვერ ვუყურებდი, რადგან შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ მიზანმიმართულად თუ ხელოვნურად დაძაბული სიტუაციები იყო და თან სიძულვილის ენის დემონსტრირება ხდებოდა.

მსგავსი გადაცემა არ მომწონს, რადგან ის სიძულვილის ენას ავრცობს. მიუხედავად იმისა, გადაცემა მომწონდა თუ არა, მე იქ მივდიოდი. გრიგოლია თოქშოუების სივრცეს ასე თუ ისე, აბალანსებდა, ახლა კი, რა მივიღეთ? — გრიგოლია არ არის და ბურთი და მოედანი „რუსთავი-2"-ს აქვს, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის" ინტერესებს მორგებულია.

ბურთი და მოედანი „რუსთავი-2"-ს რომ აქვს, ეს წამგებიანი ნაბიჯია და ამას ხელისუფლება გადადგამდა? ჩვენი პრინციპული პოზიციაა, რომ მედიის კონტროლი დაუშვებელია. დღეს თუ ხვალ, გრიგოლია და მიშველაძე ეთერში გამოჩნდებიან და ამაში ვინმეს ეჭვი ეპარება?

**— „საზოგადოებრივი მაუწყებლიდან" ეკა მიშველაძე ოჯახური მდგომარეობის მოტივით გაათავისუფლეს. ამ ტელევიზიაში, წლების მანძილზე, ეკა კვესიტაძე მუშაობდა, რომლის მეუღლეც შსს-ს მაღალჩინოსანი იყო...**

— ამ ტელევიზიაში კვესიტაძე როდის მუშაობდა, გავიწყდებათ? ეკა მიშველაძის საკითხი იურისტებმა უნდა გაიარონ და თქვან, ხდება თუ არა ინტერესთა კონფლიქტი. ეს ჩემი გადასაწყვეტი საკითხი არ არის. წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ მიშველაძემ გადაცემა წაიყვანოს. მას უნივერსიტეტიდან ვიცნობ, მაგრამ ის ობიექტურობას რამდენად შეინარჩუნებს, როცა ეთერში „თავისუფალ დემოკრატებს" მოიწვევს?

**— ამერიკაში რამდენიმე ფაქტი არსებობს, სადაც თეთრი სახლის წარმომადგენელი ჟურნალისტზეა დაოჯახებული. თქვენთვის ეს მოტივი არგუმენტია?**

— ამ საკითხზე ჩემი ხედვა მაქვს. ვერ წარმომიდგენია, რომ მიშველაძის ეთერი ობიექტური იქნება. გადაწყვეტილება იურისტებმა უნდა მიიღონ.

**— მიშველაძემ გამოსვლისას საკმაოდ არასასიამოვნო ინფორმაცია გააჟღერა. მან თქვა, რომ მას და მის მეუღლეს სპეცსამსახურები უთვალთვალებდნენ. თქვენ გვარწმუნებთ, რომ ხალხს აღარ უთვალთვალებთ, მაგრამ ირკვევა, რომ ვიღაცის პირად სივრცეში სახელმწიფო იჭრება. წინა ხელისუფლება მსგავსი ფაქტებისთვის წავიდა, თქვენ რას აპირებთ, ამ საქმის მოკვლევას დაიწყებთ?**

— ეკას ეს განცხადება შეიძლება იყოს — ეჭვი, კონკრეტული ფაქტი, ან პოლიტიკურად მოტივირებული პოზიცია, რადგან მისი მეუღლის გუნდი ამ თემით სპეკულირებს და ამბობს, გვისმენენო. თუკი ეს ფაქტი არ დადასტურდება, მაშინ შეიძლება, ეჭვი გამიჩნდეს, რომ ეკას ეს განცხადება პოლიტიკურად მოტივირებული იყო. შესაბამისად, რწმენა გამიმყარდება, რომ თუკი ეკა საკუთარ ეთერში „თავისუფალ დემოკრატებს" მოიწვევს, ის მიკერძოებული იქნება. ეკას ვესაუბრე და მის ზარს ველოდები.

**— და ბოლოს... გვარწმუნებთ, რომ ხელისუფლება მედიის საქმიანობაში არ ერევა, მაგრამ თუკი ეს ასეა, ისეთ დეპუტატებს რატომ არ აჩუმებთ, რომლებიც ორაზროვან განცხადებებს აკეთებენ და მედიის გაკონტროლების სურვილზე მიანიშნებენ?**

— საკუთარ შვილს არ ვაჩუმებ და მას ბოლომდე ვუსმენ. კოალიციის პრინციპული გადაწყვეტილებაა, რომელიც მედიაზე ნებისმიერ ძალადობას გამორიცხავს. ცალკეულ დეპუტატებს შეიძლება განსხვავებული აზრი ჰქონდეთ, რაც მათი პიროვნული პასუხისმგებლობაა და არა — კოალიციის. ჩემი კოლეგებისგან ევროინტეგრაციაზე განსხვავებული აზრები მომისმენია, მაგრამ ეს ჩვენს კურსზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს.

**თეონა მანაგაძე**




## ალიან-ჩალიანი

# კახელები ვაზის აჩეხვით იმუქრებიან

**გურჯაანის რაიონის გამგეობასთან გლეხების აქცია გამართა გამგეობასთან გურჯაანის რაიონის ხუთი სოფლის 200-მდე მევენახე შეიკრება. გლეხები ქარხნების გახსნას და ყურძენზე ფასის მომატებას ითხოვენ. აქციის მინაწილეების თქმით, იმ შემთხვევში, თუ ყურძენზე არსებული ფასი არ გაიზრდება, ისინი ვენახების აჩეხვით იმუქრებიან. ამ დროისთვის ფასები ასეთია — „რქაწითელი" 60 თეთრი, „საფერავი" — 70 თეთრი. გლეხები ფასის, შესაბამისად, ლარამდე და ორ ლარამდე გაზრდას ითხოვენ.**

**ადგილზე იმყოფება ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი. გიორგი სამანიშვილის განცხადებით, კახეთში ჩაუბარებელი ყურძენი არ დარჩება.**

**ამასთან, აქციის მონაწილეებმა ერთი საათით გზაც გადაკეტეს, თუმცა გზა პოლიციამ გახსნა.**



**ინტერპრესი**

ადამიანი დროში



# კონსტანტინე წერეთელი – ქართული ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი

**დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთ ღირსეულ და თვალსაჩინო წარმომადგენელს, ენერგეტიკოსთა თაობების აღმზრდელს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, სახელოვან მამულიშვილს, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის აკადემიკოსს კონსტანტინე წერეთელს.**

კონსტანტინე წერეთელი დაიბადა 1945 წლის 3 იანვარს ქ. თბილისში.

1961 წელს დაამთავრა ქ.თბილისის 58-ე საშუალო სკოლა, 1968 წელს – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაციით, სპეციალობით „ელექტრული სადგურები“. 1968-71 წლებში იყო საქართველოს ენერგეტიკის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი, 1971-75 წლებში – მოსკოვის გ.მ.კრჟიჟანოვსკის ენერგეტიკული ინსტიტუტის ასპირანტი. ამავე ინსტიტუტში 1980 წელს დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. 1975-1988 წლებში მოღვაწეობდა საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1982 წლიდან კითხულობდა ლექციების კურსს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის „ელქტრული სადგურების, ქსელებისა და სისტემების კათედრაზე. 1988-1990 წლებში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტრული მანქანებისა და აპარატების კათედრის დოცენტია, 1990-1999 წლებში – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრული მანქანებისა და აპარატების კათედრის გამგე. 1999 წლიდან 2012 წლამდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრული მანქანებისა და აპარატების კათედრის დოცენტი, ასოცირებული პროფესორი. 2012 წლიდან 2014 წლის სექტემბრამდე ელექტრომექანიკის კათედრის სრული პროფესორია. 2014 წლის სექტემბრიდან დღემდე – ელექტრომოხმარების ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორი, პარალელურად, 1999 წლიდან დღემდე შპს „ინსტა“-ს ექსპერტი მაღალი და საშუალო ძაბვის მიმართულებით, 2001 წლიდან 2005 წლამდე შპს „ფოთი-ტრანსენერჯის“ ინჟინერ-ელექტრიკოსი. 1996 წლიდან 2013 წლამდე იყო საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკის ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი მუშაკი, განყოფილების გამგის მოადგილე. გამოქვეყნებული აქვს 55 ნაშრომი, მათ შორის 14 საავტორო მოწმობა და პატენტი, 4 სახელმძღვანელო. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 4 სადოქტორო და მრავალი სამაგისტრო დისერტაცია. არის საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის აკადემიკოსი.

მისი მოღვაწეობის მრავალმხრივ მიმართულებებში განსაკუთრებით გამოირჩევა ელექტროენერგიის ხარისხის შესწავლა და მისი გაუმჯობესების გზები, ელექტრული სისტემების რეჟიმების ანალიზი, გენერატორების შერჩევა მცირე ენერგეტიკისათვის, ელექტროენერგიის ტექნიკური დანაკარგების დადგენა და მათი შემცირების ღონისძიებების დამუშავება ელექტრომომარაგების სისტემებში, ზეგამტარული ტრანსფორმატორები, გენერატორების გაცივების სისტემები, დაბალი სიხშირის გავლენა ელექტროდანადგარებზე და სხვა. ჩატარებული აქვს საქართველოს ელექტროსადგურების ტექნიკური ექსპერტიზა, მშენებარე ელექტროსადგურების პროექტების ტექნიკური ექსპერტიზა, მონაწილეობა აქვს მიღებული ელექტროსისტემის აუდიტში, თელასის ქვესადგურების ტექნიკურ ექსპერტიზაში. მონაწილეობა აქვს მიღებული ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებაში.

ამჟამად არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის სარედაქციო კომისიის თავჯდომარე, ფაკულტეტის საატესტაციო საბჭოს თავჯდომარის მოადგილე. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ბატონი კონსტანტინეს მრავალ დადებით თვისებას შორის უდავოდ გამოსაყოფია მისი უნარი, გამონახოს დრო ყველასათვის, ვისაც მისი დახმარება თუ რჩევა-დარიგება ესაჭიროება. იგი გამორჩეული, მრავალი დადებითი თვისების მატარებელი პიროვნებაა.

ბატონ კონსტანტინეს ვულოცავთ 70 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ წარმატებებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

**საქართველოს ენერგეტიკის აკადემია;**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.**

SIC!

# ელექტროენერგია გაძვირდა, პური – არა!

**ელექტროენერგიის გაძვირება ადგილობრივ წარმოებას დიდ პრობლემას შეუქმნის. ტარიფის ზრდა საწარმოო პროცესს გააძვირებს და პროდუქციის ფასს გაზრდის. წინ შემოდგომის თვეები და მთელი ზამთარია, როდესაც ინფლაცია პიკს აღწევს. ამ ფონზე შედარებით იაფ ადგილობრივ ნაწარმზე ფასის მატება მომხმარებელს დიდ პრობლემას შეუქმნის.**

გაძვირება, სავარაუდოდ, ყველა სეგმენტს შეეხება, სადაც კი ელექტროენერგიის მოხმარება მაღალია, მაგრამ მოსახლეობას ყველაზე მეტად პურის ფასი აინტერესებს. დენის ტარიფის ზრდის გამო ეს თემა კვლავ აქტუალური გახდა.

სოფლის მეურნეობის მინისტრი ცდილობს, რომ პურპროდუქტებზე ფასი შენარჩუნდეს, თუმცა მწარმოებლებს სხვა მოსაზრება აქვთ.



**„ჯერ არ უნდა გავუსწროთ მოვლენებს, ვინაიდან ელექტროენერგიის ხვედრითი წილი არ არის კრიტიკული. ამიტომ არსებობს სხვადასხვა სახის ბიზნესმოდელი, სხვადასხვა ტექნოლოგია. ჩვენ გვაქვს ძალიან ინტენსიური კომუნიკაცია და რაც ხელგვეწიფება, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ არ გაძვირდეს“,** – განაცხადა დანელიამ.

მინისტრი აცხადებს, რომ მნიშვნელოვანია ყველა დაბრკოლების მინიმუმამდე შემცირება. სწორედ ამ მოტივით გადაავადეს ფქვილის რეგლამენტი მომავალი წლის 1 იანვრამდე.

პურპროდუქტების ასოციაციის თავმჯდომარის მალხაზ დოლიძისთვის გაუგებარია, რაზე დაყრდნობით აკეთებს სოფლის მეურნეობის მინისტრი ასეთ დამაიმედებელ განცხადებას. გაძვირდება თუ არა პური დენის ტარიფის მატების გამო, ამასთან დაკავშირებით დოლიძეს ამ ეტაპზე პასუხი არა აქვს.

მეპურეები სულ სხვაგვარად უყურებენ სამომავლოდ პროდუქციაზე ფასის შენარჩუნების საკითხს. კომპანია „მარგის“ დირექტორი ნოდარ გურგენიძე აცხადებს, რომ განიხილება პურის დაახლოებით 10 თეთრით გაძვირების საკითხი.

მისი თქმით, სემეკის გადაწყვეტილება ელექტროენერგიის ტარიფის ზრდასთან დაკავშირებით, პურის მწარმოებლებისთვის ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა. მისი ინფორმაციით, კომპანია „მარგი“ დაახლოებით 2 კვირის განმავლობაში დააკვირდება პროცესებს და თუ ფქვილის ფასი არ შემცირდა, იძულებული იქნება, პური გააძვიროს.

კომპანია „იფქლის“ გენერალური დირექტორის შაქრო ბაკურაძისთვის ამ დროისთვის უცნობია, გააძვირებს თუ არა პურს. მისი თქმით, კომპანიას ჯერ ფასის ზრდის გადაწყვეტილება არ მიუღია.

პურპროდუქტების მწარმოებელთა ნაწილი პურის გაძვირებას სექტემბრიდანაც პროგნოზირებდა, რის მიზეზადაც ფქვილზე ფასის ზრდას ასახელებდა.

სექტემბრისთვის მწარმოებლებმა პურის გაძვირების თავიდან აცილება შეძლეს. დენის ტარიფის ზრდის შემდეგ კი მათი ნაწილი ამ საფრთხეზე ისევ ალაპარაკდა.

**დანიელ ბექაური**

მეთხილეობა

# თხილის ერთიანი „მეგრული“ ციკლი

**ბოლო ხანებში თხილის ექსპორტი ქვეყნის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში თანდათანობით პოზიციებს იმყარებს, საქართველო მსოფლიოში მეტად გამორჩეული მწარმოებელი ხდება. ეს გარემოება, ცხადია, მთავრობას უყურადღებოდ არ დაუტოვებია, რის შედეგად ამ მიმართულებით ახალი სახელმწიფო პროგრამა „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-საემეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით“ შემუშავდა.**

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პროგრამა მაინცდამაინც დიდი მასშტაბით არ გამოირჩევა – იგი უმთავრესად ზუგდიდის რაიონის მკვიდრ თხილის მცირე მწარმოებლებზეა ორიენტირებული. პროგრამის მთავარი მიზანია თხილის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი წრის შეკვრა.

მეთხილეობის განვითარებას საქართველოში ის მნიშვნელობა აქვს, რომ შარშან ქვეყნიდან 183 მილიონი დოლარის ღირებულების პროდუქცია იყო ექსპორტირებული. ამ მაჩვენებლით, თხილის ექსპორტმა საქართველოსვთის ტრადიციულად ისეთ მოწინავე სასაქონლო ჯგუფს გაუსწრო, როგორიცაა ღვინო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წლის განვლილ პერიოდში თხილის ექსპორტმა მთლიან საგარეო-სავაჭრო ურთიერთობათა ექსპორტის ნაწილში 10 პროცენტს გადააჭარბა, შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით კი ხუთჯერ გაიზარდა.

მეთხილეობის ხელშეწყობას კიდევ ის მნიშვნელობა აქვს, რომ აღნიშნული საქონელი, ძირითადად, ჩვენთვის მეტად სტაბილურ ევროპულ ბაზრებსა და მეზობელ თურქეთში გადის. მისი წარმატებულად განხორციელების შედეგად, ავტორთა აზრით, მსოფლიო ბაზარზე ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად, საჭიროა თხილის თვითღირებულების შემცირება და მისი საექსპორტო პოტენციალის უმთავრესად ამ გზით გაზრდა. ამასთან, ცხადია, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს პროდუქციის ხარისხს, რაც უცხოელ მომხმარებელთათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს წარმოადგენს. საამისოდ კი, პირველ ყოვლისა, მისი დახარისხება-შენახვის სათანადო პირობების უზრუნველყოფაა აუცილებელი. პროგრამის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში კი საგრძნობლად უნდა გაიზარდოს მასში მონაწილე პირთა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის დონე.

| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში მისი ჰერმეტიზაცია. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. სამტრედია, სოხუმის ქ. №2ა, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 095 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. სამტრედია, სოხუმის ქ. №2ა |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 35 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 218 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 11 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 12 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 12 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 12 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 11**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ |

| | | |
|---|---|---|
| | | მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალსოფლის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 365 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალსოფლის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 6 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 0,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) | 203 ლარი |
| | თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 11 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 12 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 12 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 12 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 12**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) სალიცენზიო ობიექტი (ჭა) საჭიროებს მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. გორი, შინდისის გზატკეცილი №17, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 650 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. გორი, შინდისის გზატკეცილი №17 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 118 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 11,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 259 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 11 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 12 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 12 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 12 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 13**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). |

| | | |
|---|---|---|
| | | თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. სამტრედია, კოსტავას ქუჩა №114 მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 3 650 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. სამტრედია, კოსტავას ქუჩა №114 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 118 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 11,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 259 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 11 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 12 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 12 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 12 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 14** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; |
| | | ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) სალიცენზიო ობიექტი (ჭა) საჭიროებს მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. წყალტუბო, შანიძის ქუჩა №2, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 825 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. წყალტუბო, შანიძის ქუჩა №2 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 46 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 4,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 223 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 11 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 12 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 12 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 12 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 15** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ |
| | | პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. გამარჯვების ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 095 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. გამარჯვების ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 35 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3.5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 218 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 11 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 12 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 12 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 12 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**კალათბურთი**

# კლასი ისეთი რამაა...



**იდეალური სისტემა ბუნებაში არ არსებობსო, ტყუილად როდია ნათქვამი. კიდევ კარგი — ევრობასკეტის ჯგუფური რაუნდის მოქმედი ფორმატი გუნდს შანსს აძლევს ხუთიდან ერთადერთი შეხვედრა მოიგოს და პლეი-ოფში გავიდეს, იქ კი, კაცმა არ იცის, რა მოხდება — ბურთი ხომ მრგვალია...**

წლევანდელი ფორუმის სტარტამდე ვივარაუდეთ, რომ აღიარებული ლიდერების მაკალებისა და ანტიჩის არყოფნა მაკედონიელთა მეტოქეებს საგრძნობ ფორას მისცემდა. პროგნოზი გამართლდა, მათ შორის ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვან მატჩში, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა საკუთარი ძალების რწმენით დაიწყო და ასევე დაამთავრა — 90:75. ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ტაქტიკურ არსენალში შემორჩენილი ის ერთადერთი მრისხანე იარაღი — სამქულიანები, რომლებმაც ბალკანელებს ჰოლანდიელები დააჩოქებინა, კლასით გაცილებით მაღლა მდგომ მეორე უშუალო კონკურენტ „ჯვაროსნებთან“ ღირსეულად გასამკლავებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. ასე რომ, კიდევ ერთხელ იბადება ლოგიკური კითხვა — ჩვენ როგორ მოვახერხეთ ბევრად უფრო შეზღუდული პოტენციალის მქონე ბენილუქსელებთან წაგება, რამაც სათუო გაგვიხადა მერვედფინალში თამაშის უფლების მოპოვება.

**IV ტური.** საქართველო — მაკედონია 90:75. ფაჩულია — 23 ქულა, 14 მოხსნა, მარკოიშვილი — 18, შენგელია — 15 ქულა; საბერძნეთი — სლოვენია 83:72, ხორვატეთი — ჰოლანდია 78:72.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**დაფასება**

# ჭადრაკის სასახლე მოჭადრაკეებს გადაეცემა

**„კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობამ მოგვმართა თხოვნით, რომ ვერის ბაღში მდებარე ჭადრაკის სასახლე, რომელიც ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაა, მოჭადრაკეებს გადასცემოდა. თბილისის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დედაქალაქის ჭადრაკის სასახლე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და სრულიად ქართველი მოჭადრაკეების კუთვნილება გახდეს, რომელსაც საქართველოს მთავრობის უახლოეს სხდომაზე დავამტკიცებთ.** როდესაც ამ გადაწყვეტილებას ვიღებდით, ცხადია, გავითვალისწინეთ ქალბატონი ნონას დამსახურება არა მარტო ქართული ჭადრაკისა და ქართული სპორტის, არამედ სახელმწიფოს განვითარების საქმეში“, — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ჭადრაკის სასახლეში ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონის — ნონა გაფრინდაშვილის სახელობი თასის გათამაშების საზეიმო გახსნისას, რომელსაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილიც ესწრებოდა. საპატიო სტუმრებმა საერთაშორისო ტურნირზე სიმბოლური პირველი სვლაც გააკეთეს ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონ ლევან ფანცულაიას და სომეხ მარია გევორქიანის პარტიაში. ის შეხვედრა ფანცულაიამ იოლად მოიგო. სამაგიეროდ, სენსაცია იყო ტურნირზე რეიტინგით მეორე დიდოსტატ ლუკა პაიჭაძის მარცხი ალექსანდრა ვახანიასთან. ფავორიტთა მომდევნო ოთხ დაფაზე ორთაბრძოლები ასე დასრულდა: თორნიკე სანიკიძე — ნიკოლოზ პეტრიაშვილი 1:0, სარქის მკრტჩიანი (სომხეთი) — დავით მაღალაშვილი 0:1, ტიგრან ჰარუთინიანი (სომხეთი) — ფრიდონ ყალაგაშვილი 1:0, გიგა ყუფარაძე — ეგორ ბუკოვი (რუსეთი) 0:1. ტურნირზე მთავარი პრიზის მფლობელს შვეიცარიული სისტემით ცხრა ტური გამოავლენს.



**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: მარცხნიდან — გიორგი გიორგაძე, ნონა გაფრინდაშვილი, ლევან ფანცულაია, ტარიელ ხეჩიკაშვილი.**

**ფეხბურთი**

# თემურ ქეცბაია - ევროპალიგის სიმბოლურ ნაკრებში




**უეფას ოფიციალურმა ვებ-გვერდმა ევროპა ლიგის მონაწილე კლუბთა მთავარი მწვრთნელების სიმბოლური ნაკრები გამოაქვეყნა, რომლებსაც წარმატებული საფეხბურთო კარიერა ჰქონდათ. მათ შორის მოხვდა საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცი თემურ ქეცბაია, რომელიც ამჟამად კვიპროსულ „აპოელს“ ავარჯიშებს.**

ქეცბაიასთან ერთად სიმბოლურ ნაკრებში ისეთი ცნობილი სახეები შეიყვანეს, როგორებიც არიან მიშელ პრიუდომი, ფრანკ დე ბური, ვილი სანიოლი, იგორ ტუდორი, ერნესტო ვალვერდე და სხვები.

გთავაზობთ სიმბოლური ნაკრების სრულ სიას:

**მეკარე:** მიშელ პრიუდომი („ბრიუგე“);

**მცველები:** მაურისიო პოჩეტინო („ტოტენჰემი“), ფრანკ დე ბური („აიაქსი“), ჰენინგ ბერგი („ლეგია“), ვილი სანიოლი („ბორდო“);

**ნახევარმცველები:** იგორ ტუდორი (პაოკი), პაულო სოუზა („ფიორენტინა“), მიჩელი („მარსელი“);

**თავდამსხმელები:** თემურ ქეცბაია („აპოელი“), ერნესტო ვალვერდე („ბილბაო“), სა პინტო („ბელენენსეში“).

**გიორგი შოთაძე**

**კოლეგები**

# სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ოფიციალური განცხადება

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის გაფართოებულ სხდომაში მონაწილეობდნენ ასოციაციის პრეზიდენტობის კანდიდატები.**

კანდიდატებთან კონსულტაციით და შეთანხმებით გადაწყდა ასოციაციის 15 სექტემბრის რიგგარეშე საარჩევნო კონფერენციის გაუქმება და მორიგი საარჩევნო კონფერენციის არაუგვიანეს 2016 წლის 1 სექტემბერს ჩატარება.

აღნიშნულ საარჩევნო კონფერენციამდე ასოციაციის საქმიანობას წარმართავს აღმასრულებელი კომიტეტი. აღმასკომის გადაწყვეტილებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც წევრების გარდა შედიან ასოციაციის რეგისტრირებული პრეზიდენტობის კანდიდატები ლაშა გოდუაძე, გიორგი დარჯანია, ლაშა დვალიშვილი, დავით ხვადაგიანი და თამარ ჯიშკარიანი. სამუშაო ჯგუფის მიზანია ასოციაციის შიდა ორგანიზაციულ საკითხებზე მუშაობა.

**ბეჟან დოლიძე**

**მოვლენის წინ**

# „ბორჯღალოსნებმა“ „მფრინავ ფიჯელებთან“ ერთად ივარჯიშეს



**მსოფლიო თასამდე 11 დღით ადრე საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებს სარის სპორტულ ცენტრში ერთობლივი ვარჯიშის გასამართად სარაგბო სამყაროში „მფრინავ ფიჯელებად“ ცნობილი ფიჯის ეროვნული ნაკრები ესტუმრა. ორივე გუნდის მორკინალებმა და ხაზის მოთამაშეებმა ცალ-ცალკე „იმეცადინეს“. მსგავსი ერთობლივი ვარჯიში ფიჯიმ და საქართველომ ბოლოს შარშანდელი ნოემბრის ტესტების მზადების პერიოდში ტულუზაში გამართეს.**

9 სექტემბერს მსგავსი მიზნით „ბორჯღალოსნებს“ „კანადელი ნეკერჩხლებიც“ ეწვევიან.

მილთონ ჰეიგის კომენტარი ერთობლივი ვარჯიშების შესახებ: „ფიჯისთან,ისევე როგორც კანადასთან,ჯგუფებად დავიყოფით. შესაბამისად,მორკინალები და ხაზის მოთამაშეები ცალ-ცალკე ივარჯიშებენ. ფიჯელებთან ანალოგიურად ბოლოს შარშან ნოემბერში ტულუზაში ვღვარეთ ოფლი და მიგვაჩნია, რომ ეს ძალზე კარგად წაადგება ორივე გუნდს. თავის დროზე კანადელებმაც იგივე შემოგვთავაზეს და კარგი შესაძლებლობა გვექნება მოლები, შერკინება და დერეფნები დავხვეწოთ.

**მანუჩარ გიორგაძე**

**ჩოგბურთი**

# შვეიცარიული და ბალკანური ნახევარფინალები ამერიკაში

**მამაკაც ჩოგბურთელთა ერთეულთა თანრიგში ამერიკის შეერთებული შტატების ღია პირველობის ნახევარფინალებში შვეიცარიული და ბალკანური ნახევარფინალები გათამაშდება. ფინალში გასასვლელად ერთმანეთს სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი და ხორვატი მარინ ჩილიჩი დაუპირისპირდებიან, გადამწყვეტი მატჩის მეორე მონაწილეს კი როჯერ ფედერერისა და სტენ ვავრინკას დუელი გაარკვევს.**

ორივე შვეიცარიელმა ფინალში თამაშის უფლება ნახევარფინალის 3 სეტით მოგების შედეგად დაიმსახურა. სტენ ვავრინკამ სამხრეთაფრიკელი კევინ ანდერსონი უშანსოდ დატოვა — 6:4, 6:4, 6:0. მატჩი საათსა და 47 წუთს გაგრძელდა. ამ სათამაშო დროის განმავლობაში ვავრინკას აქტივში 5 ბრეიკი და 6 ეისია.



სადიდსლემო ტურნირების 17-გზის ჩემპიონ როჯერ ფედერერს რაც შეეხება, მას სულ რაღაც საათნახევარი დასჭირდა ფრანგი რიშარ გასკეს წინააღმდეგობის დასაძლევად — 6:3, 6:3, 6:1. 34 წლის როჯერმა 16 ეისი და 5 ბრეიკი შეასრულა, ვავრინკასთან დაპირისპირებაზე კი მოკლედ თქვა: „გასკეს წინააღმდეგ კარგად ვითამაშე, ნახევარფინალში კი კიდევ უფრო უკეთ გამოსვლა მმართებს. მახარებს, აშშ-ის ღია პირველობის ამ სტადიაზე ერთმანეთს შვეიცარიელები რომ ვხვდებით. ყოველმხრივ შევეცდები სტენს ამოცანა მაქსიმალურად გავურთულო. მოუთმენლად ველი ნახევარფინალს“.

**კობა კობახიძე**

**ინტერნეტიდან**

# რაფაელა მოგუდოს საფეხბურთო ვნებანი



**იტალიის საფეხბურთო ნაკრებს ახალი თილისმა ჰყავს. როგორც ჩანს, წარსულს ჩაბარდა ძველი და მინავლებული ლამაზმანები და იტალიის ნაკრების ახალი თილისმა, ცნობილი მოდელი რაფაელა მოგუდო სულს განახლებულად უხუთავს და გუდავს მასზე მიშტერებულ ათასობით მამრს.**

რაფაელა მოგუდო წარმოშობით რომაელია, სამოდელო საქმეში 16 წლიდანაა ჩართული და ამ საქმეში თავისი ხმამაღალი სიტყვა უკვე ნათქვამი აქვს, მაგრამ უცნაური ისაა, რომ აქამდე ფეხბურთისადმი დიდი სიყვარული არასოდეს გამოუვლენია და სწორედ ეს ამბავი აეჭვებთ მავანთ.

იტალიის ბულვარული პრესა ეჭვობს, რომ რაფაელას შესაძლოა ერთ-ერთ იტალიელ ფეხბურთელთან რომანი ჰქონდეს გაბმული და „სკუადრა აძურას“ თილისმადაც ამის შემდეგ რაცხს საკუთარ თავს. იმასაც ეჭვობენ, რომ რაფაელა მოგუდოს თანამესარეცელე შესაძლოა ცოლთან ახლახანს გაშორებული ჯორჯო კიელინი იყოს, მაგრამ დარწმუნებით ჯერჯერობით ვერავინ ვერაფერს ლაპარაკობს.

**როსტომ რაჭველიშვილი**

წიგნი

# მართალი სიტყვა მამულიშვილზე

**კაცურ კაცთან, ერისა და მამულის მოჭირნახულე ადამიანთან შეხვედრა ყოველთვის სასიხარულო და მისასალმებელია, მით უმეტეს, თუ ის შენი მეგობარია, მასთან ურთიერთობის ათეული წლები გაკავშირებს, მისი ბიოგრაფიის თანაზიარი ხარ, სადღეგრძელოებით გული გიჯერებიათ, ერთად მოლხენაც ხომ ჩვენი ცხოვრების ნაწილია...**

შეხვედრა ფრიად საინტერესო, მრავლისმეტყველი, წიგნის პრეზენტაციისას შედგა. წიგნში, რომლის ავტორიც უშიშროების დამსახურებული მუშაკი, პოლკოვნიკი და ამავე დროს წარმატებული მწერალი **გელა სულაძეა,** ასახულია მეგობრის, ყველასთვის საპატივცემულო მამულიშვილის, სახელოვანი გენერლის ანზორ მაისურაძის ცხოვრება და მოღვაწეობა.



ვკითხულობ ოთხასგვერდიან, დიდებულად გამოცემულ წიგნს **„სპეცსამსახურების თვალით დანახული საქართველოს უახლესი შუქჩრდილები. ღირსეულად განვლილი გზა“** და ვეცნობი სამშობლოს უახლეს ისტორიას, მაგრამ მე ამჯერად წიგნის ავ-კარგზე საუბარს არ ვაპირებ, რამეთუ ამის შესახებ გაზეთმა **„საქართველოს რესპუბლიკამ“** ახლახან მკითხველს ვრცლად და პროფესიულად უამბო, რისთვისაც მადლობა მომიხსენებია რედაქციისთვის.

უბრალოდ მინდა ვთქვა, რომ მართალია ანზორ მაისურაძე ჩემი სიყრმის მეგობარია, მაგრამ წიგნიდან მის შესახებ, ჩვენს ახლო წარსულზე იმდენი რამ შევიტყვე, გაოცებული დავრჩი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი: ყველა დროში ახალგაზრდობა უნდა იზრდებოდეს ასეთ ადამიანთა მაგალითზე. საბედნიეროდ, მისებრ მოჭირნახულე მამულიშვილები კიდევ მრავლად გვყავანან.

ადამიანისთვის რა უნდა იყოს იმაზე დიდი ბედნიერება, რომ ილვაწო და იცხოვრო კაცურად, მით უმეტეს ისეთ სამსახურში, უშიშროება, სხვაგვარად „კაგებე“ რომ ერქვა და ბევრი შავი ამბავი მიეწერება... ანზორი იქაც მამულიშვილი და ერის კაცი იყო. მისმა განვლილმა გზამ ამ სამსახურის აუცილებლობაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა.

აქვე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა პოლკოვნიკ გელა სულაძეს, რომელმაც დაწერა ეს წიგნი. იმედი მაქვს, მისი წაკითხვის შემდეგ, არა ერთი და ორი ადამიანი დარჩება როგორც ანზორ მაისურაძის, ისე გელა სულაძის მადლიერი.

**ვალერიან გრძელიშვილი,**
**ქ. რუსთავის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი**

ხსოვნა

# მამუკა ობოლაძე



გარდაიცვალა ყოველმხრივ ღირსეული პიროვნება, შესანატრი ადამიანური და საქმიანი თვისებებით გამორჩეული პატრიოტი თავისი ქვეყნისა, ღირსეული მოქალაქე, კარგი მშობლების საუკეთესო შვილი და ლამაზი ოჯახის თავკაცი, უღალატო მეგობარი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი **მამუკა ობოლაძე**.

ვინც მას იცნობდა, ყველა დაგვეთანხმება, რომ ბატონი მამუკა სწორედ ისეთი ადამიანი გახლდათ, ვისზეც თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი მარტო თავის ღირსეულ ოჯახსა და საახლობლო-სამეგობროს კი არა, მთელ საზოგადოებას დააკლდა, რადგან ქვეყანა სწორედ მისნაირი მოქალაქეებით იყო, არის და იქნება ძლიერი.

მას დიდად აფასებდნენ და მაღალი ატორიტეტიც ჰქონდა ყველგან, სადაც კი სხვადასხვა დროს უმუშავია, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის განყოფილების გამგის თანამდებობა იქნებოდა ეს თუ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილის, ან საქართველოს კონტროლის პალატის აპარატის უფროსისა...

არიან ადამიანები, რომელთა სააქაოდან წასვლა ღრმა, მოუშუშებელ იარასა და ამოუვსებელ სიცარიელეს სტოვებენ ახლობელ-მეგობრების გულში. სწორედ ასეთი იყო ბატონი გურამი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მშობლიური მიწა, რომელიც ასე უყვარდა და ემქვირფასებოდა.

მამუკა ობოლაძის ნათელი სახე და ხსოვნა მუდამ იქნება ჩვენს გულში.

**მეგობრების ჯგუფი**

ფოტოფაქტი



უზარმაზარი თეთრი დათვი, რომელიც უდაბნოში დასეირნობს. რატომაც არა! ასე განვითარდა იმ ყოველწლიური კარნავალის მონაწილეთა ფანტაზია, რომელიც გაიმართა 30 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე ნევადის შტატში.

ინფორმაცია

## დაკარგული პატარა მშობლებს დაუბრუნეს

**შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში შევიდა შეტყობინება იმის შესახებ, რომ მცხეთაში 4 წლის ბავშვი სახლიდან გაურკვეველი მიმართულებით გავიდა და აღარ დაბრუნებულა.**

**საპატრულო ეკიპაჟმა, ჩატარებული სამძებრო ღონისძიებების შედეგად, მცხეთაში, ცენტრალურ ავტომაგისტრალზე იპოვა დაკარგული მცირეწლოვანი ბავშვი, რომელიც გზის სავალ ნაწილზე გადადიოდა. მათ ბიჭი უსაფრთხო ადგილზე გადაიყვანეს და დაკარგული ბავშვი მშობლებს უვნებლად ჩააბარეს.**

კარიკატურისტის თვალით

კიდევ კარგი, საყვარელო, არ დაგიჯერე და ლამფა არ გადავაგდე, რა გაუძლებდა ამხელა ტარიფებს?!



**ამირან ერაძის ნახატი.**

მაღალი მაჩვენებელი

# ტოპ 10 ინვესტორი კომპანია საქართველოში

**2015 წლის 6 თვის მონაცემებით, საქართველოში განხორციელებულმა ინვესტიციების რაოდენობამ 530 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც 2008 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.**

„საქსტატის“ მონაცემებით, 2015 წლის მეორე კვარტალში საქართველოში 354 მილიონ 700 ათასი დოლარის ოდენობის უცხოური ინვესტიცია განხორციელდა, რაც 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს თითქმის 82%-ით აღემატება და ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2008 წლის შემდეგ.

სექტორების მიხედვით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე მოდის, სადაც 207.4 მლნ აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა, რაც მთლიანი ინვესტიციების რაოდენობის 58.5%-ს შეადგენს. შემდეგ მოდის საფინანსო სექტორი – 41.4 მლნ აშშ დოლარით (მთლიანი ინვესტიციების 11.7%), შემდეგ დამმუშავებელი მრეწველობა – 29.5 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციების 8.3%), უძრავი ქონება – 19.6 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ინვესტიციის 5.5%).

**2015 წლის მეორე კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მიხედვით ტოპ ათეული ასე გამოიყურება:**

BP ჯგუფი
შპს შავი ზღვის ტერმინალი
შპს ჯეოსელი
შპს „CBD დეველოპმენტ“
აიდიეს ბორჯომი – შპს „აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანის საქართველოს ფილიალი“
შპს „ტავ ურბან საქართველო“
შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“
შპს „ბათუმი თაუერი“
შპს „ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კოს ფილიალი საქართველოში“
შპს „ოლდ სითი დეველოპმენტ“

**რეიტინგში მოხვედრილ 50 კომპანიას შორის კი არიან:**

შპს „ლუკოილ-ჯორჯია“
შპს „ჯორჯიან აგრო დეველოპმენტი“
შპს „მოგო“
სს „სილქნეტი“
შპს „ჯი სი ეფ უძრავი ქონება“
შპს „რუსთავის აზოტი“
შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი“
შპს „აჭარა ტექსტილე“
სს კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ (ეი პი ემ ტერმინალს)
სს „მეტრო ავრასია ჯორჯია“
შპს „ქეიჯი ენერჯი„
შპს „დიპლომატ ჯორჯია“
შპს „სილქ როუდ ბიზნესცენტრი“
სს „მინა“
შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“
შპს „ჯორჯიან მანგანეზი“
სს „ხრამჰესი 2“
შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი“
სააქციო კომპანია „დიზონ ლიმითედი“-ს წარმომადგენლობა საქართველოში“
შპს „ფრონტერა რისორსიზ ჯორჯია კორპორეიშენის“ ფილიალი
შპს „კონფიდენს გრუპი“
შპს „აისბერგი 2“
შპს „სპეციალური სავაჭრო კომპანია ორიფლეკავკასუს“
შპს „ჯორჯიან ჰოტელ მენეჯმენტი“
შპს „ველაჯიო დეველოპმენტი“
სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“
სს „ხრამჰესი-1“
შპს „ფრანჯეო დიზაინ“
„კონსტრაქშენ Frangeo Design & Construction Ltd“
შპს „დიოლერ ჯორჯია“
„ფრაისვოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბი.ვი“.-ს ფილიალი საქართველოში
შპს „ერნსტ ენდ იანგი“
შპს „აღმოსავლეთის ენერგოკორპორაცია“
მოტტ მაკდონალდ ლიმითიდ – MOTT MACDONALD LIMITED-ის საქართველოს ფილიალი
შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“
შპს „მედეა ოფერეითინგ კომპანი“
სს „ელმავალმშენებელი“
შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია„
უცხოური საწარმოს ფილიალი LUGAMINO HOLDING LIMITED-ის წარმომადგენლობა
შპს „საქართველო-ურბან ენერჯი“
შპს „ჯი ემ თი უძრავი ქონება“

ქვეყნების მიხედვით პირველ ადგილზე **აზერბაიჯანია** – 160 მილიონი დოლარით, რომელსაც **ნიდერლანდები და თურქეთი** მოსდევს, შესაბამისად 68 მილიონი დოლარითა და 41 მილიონი დოლარით.

## ლექსი – იერიშზე!

**იუზა ჩაკვეტაძე**

# გამოვფხიზლდეთ!



I

დარაბებს ვხსნი, გარეთ ისევ სიბნელეა,
არ გამოჩნდა,გუთნეულის გამმართავი,
გაიძარცვა, გაიყიდა იბერია,
ვერ ვიპოვე დაკარგული სამართალი.

მოსაგონრად რაც ჩვენ დაგვრჩა, წარსულია,
რას მიშველის – ღამე თეთრად გავათენო,
გონს მოვიდეთ, ჩვენი საქმე წასულია,
სახსენებლად არ დაგვრჩება საქართველო.

ზეცა ტირის, ღრუბლები კვლავ ირევიან,
დავემონეთ გაღმელების მოურავებს,
ღვთისმშობელმა რომ გვიკურთხა ივერია,
ქართველებო, ვილაჩრეთ, ვერ მოვუარეთ!

ამ მდელოზე ბავშვობაში მირბენია,
ამოვძირკვეთ სიხარულის საფუძველი,
სადარდო და საწუხარი იმდენია,
ჩემო გულო, გამაგრდი და გაუძელი.

ცრემლის წვიმამ აამღვრია ნაკადული,
შავი ფერი დაეფარა რიწას ნისლის,
დაიბრუნეთ აფხაზეთი დაკარგული! –
სამოთხიდან წინაპრების ხმები ისმის.

არ დავუშროთ იმედების წყარო ხიზნებს,
დროს ნუ ვკარგავთ ჩვენი ქვეყნის გამთელების,
ნუ გვაცდუნებს ის გაღმელი, – გამოვფხიზლდეთ,
ერთად ვიყოთ ამერ-იმერ ქართველები!..

II



გულში არ მაქვს არაფერი დამალული,
საქართველო მტრის მახვილით ნასერია,
არ დავკარგოთ ენა, რწმენა და მამული,
ამ მიწაში წინაპარი ასვენია.

მზის სხივებო, ოქროსფერად ნაწნავებო,
გაამხნევეთ ალიონი დათალხული,
ჩემო ერო, ნატანჯო და ნაწამებო,
ჩვენს ქვეყანას დაუდგება გაზაფხული!

ყვარლის მთებში სალოცავი ნეკრესია,
განთიადის ნათელი რთავს საოცარი,
კედლები არ დაბზარვია ეკლესიას,
არ მოაკლო ვაზის კვირტებს, ცაო, ცვარი.

ილაჟვარდე, ქართვლის ზეცავ, მადლიანო,
ხევსურებმა გამოჭედეს ხალიბური,
წინაპრებო, დავით, ცოტნე დადიანო,
გაბრწყინდება საქართველო დაბინდული.

სამებაში შევიკრიბოთ მლოცველები,
მოვინანოთ ცოდვები, ნუ ვიმალებით,
ავასრულოთ წინაპრების ოცნებები,
გავახაროთ სული ჩვენი წმინდანების!..

## სულიერება

# პატიოსნისა და დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედის და ნათლისმცემლის იოანეს თავისკვეთა



**11 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთას მარხვით აღნიშნავს.**

**იოანე ნათლისმცემელმა მრავალი მოაქცია და ცოდვებზე დააფიქრა.**

ჰეროდეადამ ბევრჯერ სთხოვა ქმარს იოანე ნათლისმცემლის დასჯა, მაგრამ ვერაფრით დაიყოლია. მაშინ, ქალმა გადაწყვიტა, მარჯვე შემთხვევა ეძებნა. მოძებნა კიდევაც ასეთი შემთხვევა წმინდანის მოსაკლავად: წვეულებაზე, შუაღამისას დარბაზში ჰეროდეადას ასული ცეკვით შემოვიდა, მისი ცეკვით აღტაცებულმა ჰეროდემ სთხოვა, ერთხელ კიდევ ეცეკვა და აღუთქვა, სანაცვლოდ რაც გინდა, მთხოვე და შეგისრულებო. ქალმა დედას მიაშურა რჩევისთვის. ჰეროდეადამ ასწავლა: „იოანე ნათლისმცემლის თავი სთხოვეო“. სათხოვარმა შეაწუხა ჰეროდე. მაგრამ ფიცის გატეხა ითაკილა და დათანხმდა. ბრძანა, თავი მოეკვეთათ ნათლისმცემლისთვის და ქალისთვის ლანგრით მიერთმიათ.

ბრძანება უმალვე შეასრულეს მსახურებმა და ლანგრით, რომლითაც კერძები შემოჰქონდათ, წმინდა იოანეს მოკვეთილი თავი შემოიტანეს.

ამ დროს მოხდა სასწაული: მოკვეთილმა თავმა ლაპარაკი დაიწყო და ამხილა მეფე. გამძვინვარებულმა ჰეროდეადამ ნემსით დაჩხვლიტა წმინდანის ენა.

ნათლისმცემლის პატიოსანი თავი ჰეროდეს ეზოს მოძღვარმა და მისმა ცოლმა ნელსაცხებლით განწმინდეს და დიდი სასოებით მოეპყრნენ.

**გიული ლიპარტია**

## კრიმინალი

### დაკავებულია მექრთამე ჩინოსანი

**საქართველოს** ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ქრთამის აღების ფაქტზე აჭარის სატყეო სააგენტოს თანამშრომელი მალხაზ ბ. დააკავა.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა შუახევის მუნიციპალიტეტში დიდი ოდენობით ხე-ტყის მასალის უკანონოდ მოჭრის, დამზადებისა და ქ. ბათუმამდე ტრანსპორტირებაში მფარველობის სანაცვლოდ, ქრთამის სახით მოითხოვა და აიღო 500 ლარი.

### ბათუმში მომხდარი ორი მკვლელობა გახსნილია

შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1987 წელს დაბადებული მამუკა გ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით შუახევის რაიონში დააკავეს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ 10 სექტემბერს, ღამის საათებში, ბათუმში, აფხაზეთის ქუჩაზე, 1988 წელს დაბადებულმა მამუკა შ-მ, ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღის გამოყენებით ერთი ჭრილობა მიაყენა მამუკა ა-ს, შემდეგ იმავე დანით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა 1990 წელს დაბადებულ რაულ მ-ს.

იმავე დროს, მამუკა ა-ს და რაულ მ-ს თანხმლებმა პირმა – მამუკა გ-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა მამუკა შ-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მამუკა შ. და რაულ მ. საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალნენ.

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად მამუკა გ. შუახევის რაიონის სოფელ ხაბელაშვილებში დააკავეს. პოლიციამ დაკავებულის პირადი ჩხრეკისას დანაშაულის ჩადენის იარაღი –– „მაკაროვის“ სისტემის იარაღი და ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა ამოიღო. დანაშაულის ჩადენის მეორე იარაღი – დანა ამოღებულია შემთხვევის ადგილიდან. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

### სიონის წყალსაცავიდან სახლართი ბადეები ამოიღეს

**გარემოსდაცვითი** ზედამხედველობის დეპარტამენტის აღმოსავლეთ-ცენტრალური სამმართველოს თანამშრომლებისა და თბილისის სწრაფი რეაგირების სამსახურის მიერ ერთობლივად ჩატარებული პატრულირების შედეგად, სიონის წყალსაცავიდან ამოიღეს 200 მეტრის სიგრძის 10 ერთეული სახლართი ბადე. ასევე, დიდი ოდენობით სხვადასხვა სახეობის თევზი. უკანონოდ მოპოვებული თევზის საერთო ოდენობა 60 კილოგრამს აღწევს.

**რეკლამა** მაჩაბლის ქ. №7.
2 9 3 – 3 7 – 8 7

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

– **პულტი** რატომ არ მუშაობს?

– მე ელექტრიკოსი არა ვარ, მაგრამ მგონია, იმიტომ, არ მუშაობს, რომ ტელევიზორი გასარემონტებლად არის წაღებული.

* * *

– **აი**, როგორც შეგპირდით, დრაკონის თავი! – ეუბნება პრინცი მეფეს.

– აი, როგორც შეგპირდი, პრინცესას ხელი! – უპასუხებს მეფე.

* * *



**პარკში** ძელსკამზე გოგო და ბიჭი სხედან.

– უი, თითი მტკივა, – ხუმრობით ამბობს გოგო.

– ახლა გაკოცებ მაგ თითზე და მოგირჩება.

– უი, მხარი მტკივა.

– ახლავე გაკოცებ და გაგივლის.

– უი, ლოყა მტკივა.

– ახლავე გაკოცებ და ტკივილიც გაგივლის.

გვერდითა სკამზე მოხუცი ზის და ახალგაზრდებს აკვირდება. მერე წამოდგება, მიუახლოვდება მათ და ბიჭს ეუბნება:

– მაპატიეთ, ახალგაზრდავ, მაგრამ შემთხვევით ბუასილსაც ხომ არ მკურნალობთ?

* * *

**მდაა...** ბავშვობაში კარგი იყო... კბილი მოგძვრებოდა თუ არა, თაგვს მაშინვე ახალი მოჰქონდა... დღეს კი კბილი ამომიღეს და „თაგვმა“ ახლის ჩასმაში 150 ლარი მომთხოვა.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორ"ში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე